



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვანაძე ნატო გიორგის ასული



ნ. ვანაძე

ვანაძე ნატალია (ნატო) გიორგის ასული (14. VI. 1904, ვარშავა, - 14. VI. 1953, თბილისი), კინომსახიობი, პირველი ქართველ კინოვარსკვლავი. საქართველო. სახ. არტისტი (1940), მამის, ინგუშეთის მაზრის უფროსის, გ. ანდრონიკაშვილის დალუპვის შემდეგ, დედა (წარმოშობით პოლონელი) ოთხი მცირეწლოვანი ბავშვით დასახლდა გურჯაანში. შემდგომში ვ. სწავლობდა თბილ. ქალთა I გიმნაზიაში, მუშაობდა მუსიკის

მასწავლებლად. მალე ცოლად გაჰყვა მ. ვანაძეს. **3**-გამოირჩეოდა იშვიათი სილამაზით, რითაც კინორეჟისორთა ყურადღება მიიპყრო და თითქმის ერთდროულად ორი როლი შესთავაზეს: ნენო („არსენა ყაჩაღი“) და ნუნუ („მამის მკვლეელი“, ორივე 1923; რეჟ. ა. ბეკ-ნაზაროვი). **3**-მ კინოში

შექმნა სახეები, რ-ებიც გამოირჩეოდა გრძნობათა სინრფელით, არტისტული ინდივიდუალობით, ლირიზმით. განსაკუთრებული წარმატებით შეასრულა რომანტ. ხასიათის როლები: ესმა და დესპინე („სამი სიცოცხლე“ და „ჩვენი ქვეყნის რაინდი“; ორივე ფილმის რეჟ. ი. პერესტიანი, 1925), ფატი („ვინ არის დამნაშავე“; რეჟ. ა. ნუნუნავა, 1925), გიული („გიული“, 1927; რეჟ. ნ. შენგელაია, რ-საც შემდეგ ცოლად გაჰყვა), ევრ. ქალი და ჯემა („ამოკი“, 1927; „კრაზანა“, 1928; ორივე ფილმის რეჟ. კ. მარჯანიშვილი). 1932-იდან მუშაობდა ცნობილი კინოდოკუმენტალისტის ე. შუბის ასისტენტად, 1934 კვლავ მიიწვიეს „სახკინმრეწვში“, სადაც განასახიერა ციციას როლი ს. დოლიძის ფილმში „უკანასკნელი ჯვაროსნები“. ხმოვან კინოში შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია თამარი და ნენო („უკანასკნელი მასკარადი“, 1934; „არსენა“, 1937; ორივე ფილმის რეჟ.

მ. ჭიაურელი), ნანი („ნარინჯის ველი“, 1937; სტალინური პრემია, 1941; რეჟ. ნ. შენგელაია), მარტა („ქაჯანა“, 1941, რეჟ. კ. პიპინაშვილი), მანო („აკაკის აკვანი“, 1947; რეჟ. კ. პიპინაშვილი).



ვ-ს იწვევდნენ სხვადასხვა ქვეყნის კინოსტუდიებში [სსრკ-გერმანიის ერთობლივი ნამუშევარი „ცოცხალი ლეში“ (მაშა, 1929, რეჟ. ფ. ოცეპი), „გარეუბნის კვარტლები“ (დორა, 1930, რეჟ. გ. გრიჩერ-ჩერიკოვერი, კიევის კინოსტუდია), „რკინის ბრიგადა“ (გრიჩის მეუღლე, 1930, რეჟ. მ. ვერნერი) და სხვ.]. მისი უკანასკნელი როლია ელისაბედი („მწვერვალთა დამპყრობნი“, 1951, რეჟ. დ. რონდელი).

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ნ. ვაჩნაძე

1953 წ. 14 ივნისს დაიღუპა საჰაერო კატასტროფაში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.



ნ. ვაჩნაძის სახლ-მუზეუმი სოფ. გურჯაანში

კინოსტუდია ქართ. ფილმის ეზოში დგას ვ-ის ბიუსტი; 1981 სოფ. გურჯაანში გაიხსნა მისი სახლ-მუზეუმი; 1996-იდან საქართვე. კინოხელოვნების აკადემიაში დაწესდა ვ-ის სახ. პრიზი – „ნატო“ (სხვადასხვა ნომინაციით); 2005 გაიხსნა მისი სახელობითი ვარსკვლავი; 2017 მ. თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრის წინ - ძეგლი (მოქანდაკე ლ. ვარდოსანიძე).

თხზ.: მოგონებები და შეხვედრები, თბ., 1950; პოეზია, მოგონებები, აზრები, თბ., 1994.

ლიტ.: გოგოძე კ., ნატო ვაჩნაძე, თბ., 1949; ნატო ვაჩნაძე, თბ., 2014; სეფიანაშვილი ო., ნატო ვაჩნაძე, თბ., 1962; Вельтман С., Ната Вачнадзе, М., 1940; Королевич В., Ната Вачнадзе, М., 1926.
